Erasmus+ მობილობა ტრენინგის მიზნით დასავლეთ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში - პრაქტიკული სემინარები ECTS კრედიტების აღიარების პროცედურებთან დაკავშირებით

21 – 25 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. ირინე გოცირიძე Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში სტუმრობდა პოლონეთის შჩეცინის დასავლეთ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს (West Pomeranian University of Technology – WPUT).

შჩეცინის უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტი ითვალისწინებდა მობილობას ტრენინგის მიზნით. ინტენსიური სამუშაო პროგრამა მოიცავდა პრაქტიკულ სემინარებს. სემინარებზე განხილული იქნა ECTS კრედიტების აღიარების პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება Erasmus+ რეგულაციებში, პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის Erasmus+ მობილობის პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა გააკეთა მოხსენება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუციონალური გამოცდილება სწავლის შედეგების აღიარების შესახებ“. პოლონელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე, ასევე, განხილული იყო საკითხები, რომლებიც უკავშირდება მობილობის შედეგების ინტეგრირებას ინსტიტუციონალურ განვითარებასთან.

ვიზიტის ფარგლებში პროფ. ირინე გოცირიძე შეხვდა დასავლეთ-პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს პროფ. არკადიუს ტერმანს, ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანს პროფ. კშიშტოფ ოკარმას და დეკანის მოადგილეს პროფ. მარჩინ ციოლკოვსკის, პროფ. კშიშტოფ პენკალას, ასევე, უნივერსიტეტის Erasmus+ კოორდინატორს, ქალბატონ აგატა ბრუსკას. ქართველმა და

პოლონელმა კოლეგებმა განიხილეს მთელი რიგი საკითხები სტუ-სა და ვესტ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. შედეგად, სტუ-ს და დასავლეთ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავებული იქნა დამატებითი დოკუმენტის პროექტი, რაც ითვალისწინებს სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივ განხორციელებას.

მონიტორინგის მიზნით, პროფ. გოცირიძე, ასევე, შეხვდა Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებულ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც ამჟამად მობილობით აგრძელებენ სწავლას შჩეცინის უნივერსიტეტში. ქალბატონი ირინე გაეცნო სტუ-ს სტუდენტების სეიდ თავანას და თორნიკე მეტრეველის აკადემიურ მიღწეევებს კოორდინატორ უნივერსიტეტში.